



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №41

2017 წლის 26 დეკემბერი  
ქალაქი ბათუმი

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

#### **მუხლი 1.**

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, დანართი №1-ის შესაბამისად.

#### **მუხლი 2.**

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები, დანართი №2-ის შესაბამისად.

#### **მუხლი 3.**

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016303, გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2016).

#### **მუხლი 4.**

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე